პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

ქალაქი ბათუმი ____ თებერვალი, 2025 წ.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №31 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 21/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016604) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

2. დადგენილებას მე-2 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „2^1 მუხლი“.

„მუხლი 2^1

განემარტოს შპს „გონიო ლაქშერი რეზიდენს“-ს (ს/N 445695089), რომ იგი ვალდებულია სამშენებლო დოკუმენტაციის შემუშავებისას გაითვალისწინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2025 წლის 25 თებერვლის N01-01-10/1930 წერილით დადგენილი მოთხოვნები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმში, ავგიის I ჩიხი N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.36.21.245) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცებულ განაშენიანების დეტალური გეგმაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ დადგენილების მიღება.

განმცხადებელი - შპს „გონიო ლაქშერი რეზიდენს'' (ს/ნ 445695089)

2025 წლის 27 იანვრის **10/1425027210-14 განცხადებით** შპს „გონიო ლაქშერი რეზიდენსის'' (ს/ნ 445695089) მიერ მოთხოვნილია: ქალაქ ბათუმში, ავგიის I ჩიხი N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.36.21.245) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცებულ განაშენიანების დეტალური გეგმაში ცვლილებების შეტანა.
გეგმარებითი ერთეულის ფართობი: 25773,00 კვ.მ. (მათ შორის მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი).
საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია საცხოვრებელი კომლექსის მშენებლობა, მათში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების, აგრეთვე ავტოსადგომების და გამწვანების ადგილების მოწყობა.

გეგმარებით ერთეულში მოქცეული საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისათვის განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრების/კოეფიციენტების გადამეტება არ არის დაგეგმილი, დამტკიცებულ განაშენიანების დეტალურ გეგმაში იცვლება შემდეგი: კოტეჯები ჩანაცვლდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსებით. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 56.4 მეტრს. შენობების სართულიანობა მცირდება 13-დან 9 სართულამდე. უცვლელად რჩება დამტკიცებული განაშენიანების კოეფიციენტები.

განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტებისათვის მაკომპენსირებელი განისაზღვროს (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) კ 1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე-არ გამოიწვევს .

გ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებულა კონსულტაციები;

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ე) პროექტის ინიციატორი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**